ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N61

2022 წლის 10 ნოემბერი
ქ.ქობულეთი

,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ"ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N60 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნას ცვლილება,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N60 განკარგულებაში და განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ.წულუკიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

ქობულეთი					
N	კომისიის დასახელება	კომისიაში წევრთა რაოდენობა	ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	უფრაქციო
1	საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია	17	9	6	2
2	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია	17	9	6	2
3	საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისია	17	9	6	2
4	საკრებულოს განათლების, კულტურისა, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია	17	9	6	2
5	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისია	17	9	6	2